დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2026 წლის 5 მაისის #03/15 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების წესი

2026

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი წარმოადგენს ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მარეგულირებელ დოკუმენტს, ადგენს სკოლა-გიმნაზიაში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების თავისებურებებს;
2. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტი წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევისთვის საჭირო სივრცეს. თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს სკოლა-გიმნაზიაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას და მონიტორინგს;
3. სამედიცინო კაბინეტი თავის საქმიანობას წარმართავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანების, წინამდებარე წესის, აღმასრულებელი დირექტორის სამართლებრივი აქტის შესაბამისად;
4. სამედიცინო კაბინეტით სარგებლობის უფლება აქვთ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომლებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) სამედიცინო კაბინეტი - სკოლა-გიმნაზიაში შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით, მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახი, სადაც ხორციელდება სამედიცინო მომსახურების გაწევა.
ბ) ინფექციური თუ ვირუსული დაავადები - სწრაფადგავრცელებადი, გადამდები დაავადებები;
გ) სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალი - ექიმი, ექთანი;
დ) ეპიდემია - მწვავე ინფექციური დაავადების სწრაფი და ფართო გავრცელება;
ე) პანდემია - ინფექციური დაავადების გავრცელება რეგიონულ/სახელმწიფო/მსოფლიო დონეზე;
ვ) კატასტროფა - ბუნებრივი ან ტექნოგენური საგანგებო მდგომარეობის შედეგად წარმოქმნილი მოვლენები, რომელსაც თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი ან რაიმე გამოუსწორებელი შედეგი.

მუხლი 3. სამედიცინო კაბინეტის მიზნები და ფუნქციები

1. სამედიცინო კაბინეტის მიზანია სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების პროცედურების გამართულად წარმართვა, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში;
2. სამედიცინო კაბინეტის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:
ა) სკოლა-გიმნაზიაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომელთათვის;
ბ) გარკვეული ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შემთხვევაში, პრევენციის მიზნით, სკოლა-გიმნაზიაში კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა;
გ) პირველადი გადაუდებელი მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება;
დ) ეპიდემიის შემთხვევაში, დაავადების გავრცელების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, პრევენციული სტრატეგიის შემუშავება;
ე) საჭიროების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიაში კარანტინის გამოცხადებაზე ან/და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის თაობაზე წინადადების მიწოდება სკოლა-გიმნაზიის დირექციისთვის;
ვ) საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახება.
3. სამედიცინო კაბინეტის მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალი.

მუხლი 4. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა

1. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ (2022 წლის 21 მარტი) შესაბამისად (დანართი N 1);

2. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე, სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტი წარმოადგენს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ადგილს.
3. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია პირველი დახმარების პროტოკოლები (დანართი N 7 შესაბამისად);
4. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტში ინახება:
ა) სკოლა-გიმნაზიაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა (დანართი N2 შესაბამისად);
ბ) სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი N3 შესაბამისად);
გ) დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა (დანართი N4 შესაბამისად);
დ) ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა (დანართი N5 შესაბამისად);
ე) სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტში სავალდებულო მედიკამენტების ნუსხა (დანართი N6 შესაბამისად).

მუხლი 5. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები
1. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალს წარმოადგენს ექიმი და ექთანი.
2. სკოლა-გიმნაზიის ექიმის მოვალეობებია:
ა. მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე (ტრავმა, დაზიანება, დამწვრობა, მწვავე ტკივილი, მოწამვლა, ასფიქსია, კრუნჩხვა, შოკი, ცნობიერების მოშლა, ცხელება და სხვა მსგავსი მდგომარეობა);
ბ. შეაფასოს მდგომარეობის სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ;
გ. პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულების მართვის ელექტრონულ სისტემაში წვდომის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიძიოს არსებული ინფორმაცია მოსწავლის/ პერსონალის ჯანმრთელობის შესახებ და გაითვალისწინოს მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს;
დ. მოსწავლის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიმართოს დირექციას მათი საგაკვეთილო პროცესიდან განთავისუფლების შესახებ, მიმართოს მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს და მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
ე. სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვები აღრიცხოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანოს სკოლა-გიმნაზიაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში;
ვ. მოახდინოს სკოლა-გიმნაზიაში იმ გარემო ფაქტორების შეფასება, რომლებიც შეიცავს ფიზიკური დაზიანების რისკებს (სიმაღლიდან ვარდნა, დაცემა, ჭრილობის მიყენება, დამწვრობა და ა. შ); მიიღოს პრევენციული ზომები; შეატყობინოს სკოლის შესაბამის პასუხისმგებელ პირს საფრთხის არსებობის შესახებ და გაუწიოს ზედამხედველობა საფრთხის სრულად აღმოფხვრის პროცესს;
ზ. საჭირო პერიოდულობით განახორციელოს სამედიცინო შემოწმების ღონისძიებები:
ზ.ა. ბავშვთა ასაკში გავრცელებული იმ დაავადებების დროული აღმოჩენისა და გართულების პრევენციისათვის, როგორიცაა: სქოლიოზი, ბრტყელი ან/და ვალგუსური ტერფი, ტანადობასთან დაკავშირებული სხვა დარღვევები, მხედველობისა და მეტყველების დარღვევები, პირის ღრუს დაავადებები;
ზ.ბ. მოსწავლის ანთროპომეტრული მონაცემების შეფასება ასაკობრივ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
ზ.გ. პედიკულოზის პრევენციის მიზნით;
თ. მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სამედიცინო მეთვალყურეობა გაუწიოს ქრონიკული დაავადების მქონე და ხშირად მოავადე მოსწავლეებს;
ი. ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან იქონიოს კომუნიკაცია და გასცეს საჭირო რეკომენდაციები;
კ. გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლა-გიმნაზიაში ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის. საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის უწყებებს;
ლ. გაუწიოს ზედამხედველობა მოსწავლეთა იმუნიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (ჩატარებული გეგმური და არაგეგმური აცრების ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მოთხოვნა მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი

წარმომადგენლისგან და მათი შესწავლა. გამოტოვებული ან/და უახლოეს პერიოდში აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციის ჩატარების აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის);

მ. განახორციელოს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათ შორის მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნაადრევი ქორწინების რისკები და სხვა;

ნ. განახორციელოს სკოლა-გიმნაზიის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლა-გიმნაზიის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ (დანართი #8);

ო. გაუწიოს ზედამხედველობა სკოლა-გიმნაზიაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას;

პ. მიიღოს მონაწილეობა მოსწავლის დღის რეჟიმის, საგაკვეთილო და დასვენების რეჟიმის შემუშავებაში;

ჟ. განახორციელოს მოსწავლეზე ძალადობის, არასათანადო მოპყრობის ან სხვა მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიის დირექციის, სოციალური სამსახურის და სხვა შესაბამისი უწყებების ინფორმირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

რ. ძალადობის მსხვერპლი მოზარდის ამოცნობის/შეფასების, რეფერირებისა და შესაბამისი დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით, მოზარდის მიმართ განხორციელებული ძალადობის ეჭვის, საფუძვლიანი ეჭვისა და დადასტურებულ შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმასთან ერთად შეავსოს ბავშვის მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტაცია „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ შესაბამისად;

ს. განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა. შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლა-გიმნაზიის რექტორის, აღმასრულებელი დირექტორისა და დირექციისთვის წარსადგენად;

ტ. დაიცვას პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ღ. დაუშვებელია მოსწავლის ჯანმრთელობის პრობლემით მიმართვისას, სკოლა-გიმნაზიის ექიმი შემოიფარგლოს მხოლოდ მის მიერ ჩატარებული სამედიცინო ჩარევით, როცა სახეზეა მოსწავლის სამედიცინო დაწესებულებასთან მიმართვის აუცილებლობა;

უ. დაუშვებელია სკოლა-გიმნაზიის ექიმის მხრიდან ნებისმიერი სახის გულგრილობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ.

3. სკოლა-გიმნაზიის ექთნის მოვალეობებია:

ა. გაუწიოს დახმარება სკოლა-გიმნაზიის ექიმს მისი ფუნქციების შესრულებაში;

ბ. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს, სკოლა-გიმნაზიის ექიმის მითითებით მოსწავლეს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება. ექიმის არყოფნის შემთხვევაში, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ჩაატაროს საჭირო მანიპულაციები და მომხდარის შესახებ აცნობოს სკოლა-გიმნაზიის ექიმს. საჭიროების შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება;

გ. მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისცეს საჭირო რეკომენდაცია მისი კომპეტენციის ფარგლებში;

დ. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს ქრონიკული დაავადების მქონე მოსწავლეებს საჭირო პროცედურის ჩატარებაში (დიაბეტით დაავადებულ მოსწავლეს - ინსულინის მიღებაში, ასთმით დაავადებულ მოსწავლეს - ინჰალაციის ჩატარებაში, ამასთან, კომპეტენციის ფარგლებში, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს და ა. შ);

ე. მონაწილეობს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენურ ზედამხედველობაში;

ვ. მონაწილეობს მოსწავლეთა ჯანმრთელობითი განათლებისა და პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

ზ. დაიცვას პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეს, მასწავლებელს და სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომელს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ სამედიცინო პერსონალს, რათა მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან პირველადი დახმარება;

2. თუ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლე, მასწავლებელი და სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომელი ვერ ახერხებს სამედიცინო მომსახურების კაბინეტში დამოუკიდებლად მისვლას, სკოლა-გიმნაზიის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი მიცილება/მიყვანა სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო მომსახურების კაბინეტში/ სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალთან;

3. თუ მოსწავლის ან სკოლა-გიმნაზიის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება გადაადგილების შემთხვევაში მისი უსაფრთხოება, ნებისმიერი პირი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი პირის (ავადმყოფის) ადგილზე შემოწმებას;

4. აუცილებლობის/საჭიროების შემთხვევაში, ასევე ასეთი საჭიროების თაობაზე ნებისმიერი ეჭვის არსებობისას, სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალმა ან მისი დავალებით/მითითებით სკოლა-გიმნაზიაში მყოფმა ნებისმიერმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება;

5. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალის არყოფნის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიაში მყოფი ნებისმიერი პირის შეუძლოდ ყოფნისას, აღნიშნული ფაქტის შემსწრე ნებისმიერმა პირმა უნდა უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება;

6. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალმა ან/და გამოძახების განმახორციელებელმა ნებისმიერმა პირმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა. საკუთარი ტელეფონის ნომერი;

ბ. სკოლა-გიმნაზიის მისამართი;

გ. რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რამდენად სერიოზულია ის (ასეთი ინფორმაციის ფლობისას);

დ. დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;

ე. ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნება ოპერატორის მიერ.

მუხლი 7. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა

1. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლისა და თანამშრომლისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას;

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს მიეწოდება სწავლის დაწყებისთანავე;

3. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია სკოლა-გიმნაზიის პერსონალს მიეწოდება სამუშაოს დაწყებისთანავე;

4. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო მომსახურების კაბინეტში ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები;

5. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარის შენახვა/მონიტორინგზე პასუხისმგებელია სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალი;

6. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო საშუალებების ხარჯვა აღირიცხება ჟურნალში, რომელსაც ავსებს და მართავს სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალი;

7. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე, მოსწავლის ან თანამშრომლისთვის სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ტიპის დახმარება უნდა გაეწიოს პირს;

8. პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებებიდან ერთ–ერთი ან რამდენიმე ერთდროულად:

ა) აღმოუჩინოს პირს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

ბ) იშუამდგომლოს სასწავლო პროცესიდან, საგაკვეთილო/სამუშაო საათებიდან პირის გათავისუფლების თაობაზე;
გ) დახმარებისათვის მიმართოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (112);
9. სკოლა-გიმნაზიაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების, მათ შორის COVID-ით ინფიცირების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, თანამშრომლების სკოლა-გიმნაზიაში დაშვება ხდება მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე;
10. მოსწავლის/თანამშრომლის ვირუსული ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის, კონტაქტების მოძიება და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად, სკოლა-გიმნაზიიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;
11. თანამშრომლის სამუშაოდან დროებით გათავისუფლების საჭიროების შემთხვევაში, პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია შუამდგომლობა გასწიოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას, რომელიც თავის მხრივ იღებს გადაწყვეტილებას პირის სამუშაოდან დროებით გათავისუფლების თაობაზე;
12. მოსწავლის სასწავლო პროცესიდან გათავისუფლების საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია შუამდგომლობა აცნობოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას, რომელიც თავის მხრივ იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სასწავლო პროცესიდან დროებით გათავისუფლების თაობაზე. ხსენებული გათავისუფლება ითვლება სასწავლო დროის საპატიო გაცდენად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

დანართი N 1

სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტი შემდეგი ავეჯითა და მოწყობილობებით:

ა) სამუშაო მაგიდა;
ბ) კომპიუტერი;
გ) სკამები;
დ) საათი;
ე) სამედიცინო ტახტი (პაციენტის გასასინჯი);
ვ) კარადა ან ტუმბო სამედიცინო დოკუმენტების შესანახად (უნდა იკეტებოდეს);
ზ) სამედიცინო მასალების და მედიკამენტების შესანახი კარადა/ტუმბო (უნდა იკეტებოდეს);
თ) მაცივარი;
2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტი შემდეგი სამედიცინო აღჭურვილობით:
ა) სამედიცინო სასწორი;
ბ) სიმაღლის საზომი;
გ) თერმომეტრი;
დ) ტონომეტრი (წნევის საზომი აპარატი);
ე) ფონენდოსკოპი;
ვ) პულსოქსიმეტრი;
ზ) ხელის დინამომეტრი;
თ) ინჰალატორი;
ი) სპეციალური ცხრილი მხედველობის შესამოწმებლად;
კ) გამადიდებელი ლუპა;
ლ) ხელის სანათი;
მ) რეზინის ლახტი;
ნ) რეზინის სათბური;
ო) ბუშტი ყინულისათვის;
პ) კისრის ფიქსატორი;
ჟ) სამედიცინო მაკრატელი;
რ) პინცეტი;
ს) ნიღაბი „პირით-პირში" სუნთქვისთვის;
ტ) გადაუდებელი დახმარების ჩანთა;
უ) საკაცე;
ფ) ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი.
3. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტი შემდეგი სახარჯი/შესახვევი მასალებითა და ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებებით:
ა) ერთჯერადი საინექციო შპრიცები;
ბ) ერთჯერადი შპადელები;
გ) რეზინის ერთჯერადი ხელთათმანები;
დ) სამედიცინო ნიღბები;
ე) სტერილური ბინტი;
ვ) სტერილური ბამბა;
ზ) ბაქტერიოციდული პლასტირები;
თ) სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები;
ი) სამედიცინო სპირტი (96%-იანი);
კ) წყალბადის ზეჟანგი (3%-იანი ხსნარი);

ლ) ბრილიანტის მწვანე (1%- ან 2%-იანი სპირტხსნარი);
მ) იოდი (5%-იანი სპირტხსნარი);
ნ) ბეტადინის ხსნარი ჭრილობის დასამუშავებლად.

დანართი N 2

სკოლა-გიმნაზიაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა

(სააღრიცხვო ფორმაში წარმოებული ინფორმაცია კონფიდენციალურია)

1. დაწესებულების დასახელება----------

2. ექიმი/ექთანი სახელი, გვარი ----------

3. პაციენტის სახელი, გვარი----------

4. დაბადების წელი, თვე, რიცხვი----------

5. კლასი ----------

6. პაციენტის სტატუსი: მოსწავლე, პერსონალი სხვა ----------

7. მომართვის თარიღი ----რიცხვი-----თვე----წელი. დრო---- სთ. ---- წთ.

8. მომართვის საფუძველი---------- ----------

---

9. გამოხატული სიმპტომები----------

---

10. ჩატარებული მკურნალობა/გაწეული სამედიცინო დახმარება----------

---

11. შემდგომი რეკომენდაცია---------- ----------

---

12. მოხდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება: დიახ არა

13. გადაუდებელი დახმარების სამსახურისთვის მიმართვის დრო: ----- სთ. ----- წთ.

14. მიემართა პაციენტის ოჯახის წევრს/კანონიერ წარმომადგენელს: დიახ არა

სამედიცინო პერსონალის	პაციენტის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის
ხელმოწერა ----------	ხელმოწერა ----------

დანართი N 3

სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი

(ჟურნალში წარმოებული მონაცემები კონფიდენციალურია)

N	პაციენტის სახელი, გვარი	ასაკი	კლასი	სხვა სტატუსი	მომართვის მიზეზი	მომართვის თარიღი	კომენტარი

დანართი N4

დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა

მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის დასახელება	მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის რაოდენობა	გამოყენების თარიღი	კომენტარი	შემსრულებლის სახელი/გვარი პოზიცია

დანართი N5

ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა

ვადაგასული მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის დასახელება	ვადაგასული მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის რაოდენობა	გამოყენების ვადები ინსტრუქციის მიხედვით	მოხმარებიდან ამოღების თარიღი	შემსრულებლის სახელი/გვარი პოზიცია

დანართი N6

სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტში სავალდებულო მედიკამენტების ნუსხა

1. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო კაბინეტში სავალდებულო მედიკამენტებია:

ა) არანარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი/არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო/სიცხის დამწევი საშუალებები (პარაცეტამოლის, იბუპროფენის ტაბლეტები, სიროფი);

ბ) ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. კეტოროლაკი);

გ) ანტიჰისტამინური საშუალებები (მაგ., ქლორპირამინის ჰიდროქლორიდის ამპულები და ტაბლეტები, ლორატადინის, დესლორატადინის ტაბლეტები);

დ) ადგილობრივი მოქმედების ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. დიკლოფენაკი);

ე) ღებინების საწინააღმდეგო საშუალება და კუჭ-ნაწლავის მოტორიკის სტიმულატორი (დომპერიდონი და სხვ. წვეთების ან სიროფის სახით);

ვ) ანტიბრონქოსპაზმული საშუალებები (სალბუტამოლის ტაბლეტები, სიროფი, საინგალაციო პრეპარატები - ალბუტეროლი და სხვ.);

ზ) სპაზმოლიზური საშუალებები (მაგ., ჰიოსცინ-ნ-ბუტილბრომიდი, დროტავერინი);

თ) რეჰიდრატაციული საშუალება, პერორალური ელექტროლიტების წყალში გასახსნელი პაკეტები;

ი) პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორი (მაგ., ომეპრაზოლი);

კ) დიარეის საწინააღმდეგო საშუალება (მაგ., დიოსმექტიტი);

ლ) ანტაციდები (მაგ. ალუმინიუმის ფოსფატი);

მ) კორტიკოსტეროიდული საშუალება (დექსამეტაზონი, პრედნიზოლონი ამპულებში);

ნ) მუკოლიზური და ხველის საწინააღმდეგო პრეპარატები (მაგ., ამბროქსოლის სიროფი და ტაბლეტები);

ო) ადგილობრივი გამოყენების ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები ფარინგიტის და ტონზილიტისდროს;

პ) ვალიდოლი (აბები), ვალერიანი (წვეთები);

ჟ) თვალის წვეთები (მაგ., სულფაცეტამიდუმის 20% და 30 %-იანი ხსნარი);

რ) ცხვირის წვეთები, ნაზალური სპრეი;

ს) ყურის წვეთები (მაგ., ლიდოკაინისა და ფენაზონის ნარევი, ქოლინსალიცილატი და სხვა).

2. იმ შემთხვევაში, როცა სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს საშუალო სამედიცინო პერსონალი (ექთანი), ზემოაღნიშნული ნუსხიდან, მიზანშეწონილია, ამოღებულ იქნეს: დექსამეტაზონის, პრედნიზოლონის, სუპრასტინის ამპულები, სალბუტამოლი და დოპროკინი.

დანართი №7

პირველადი გადაუდებელი დახმარების პროტოკოლები

პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები

1. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად.
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში;

2. გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად. თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად;

3. თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.

2. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა

1. .ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ორჯერ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;

2..რეანიმაციის პროცესის ყოველი 2 წთ-ის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;

3. .თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:

3.გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულების ტექნიკა

- ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ორჯერ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
- რეანიმაციის პროცესის ყოველი 2 წუთის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:



- დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი. ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
- დაშორებით აირჩიეთ მდებარეობა. ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
- დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდი ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: „ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ 15-მდე ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100-110 ზეწოლა მკერდის ძვალზე.
- თუ თქვენ მარტო ხართ: განახორციელეთ გულმკერდის 30 კომპრესია. ამის შემდეგ თქვენ უნდა დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთოთ 2 ჩაბერვა. გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 30 ზეწოლა მკერდის ძვალზე და 2 ჩაბერვა, ვიდრე არ აღსდგება

სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები, არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა;

- ყოველ 2 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებ გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხვევაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 30 ზეწოლა მკერდის ძვალზე და 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 2 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.
- გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება
- მაშინ როდესაც გული და სუნთქვა გაჩერებულია, ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება:
- თუ გყავთ დამხმარე-დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის გამოსაძახებლად; თუ ხართ მარტო სუნთქვის და გულის გაჩერება განპირობებულია ტრავმით ჩაატარეთ გულ- ფილტვის რეანიმაციის დაწყებამდე გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური, დაბრუნდით დაზარალებულთან და გააგრძელეთ პირველი დახმარების აღმოჩენა.

4. პირველადი დახმარება სასუნთქ გზებში უცხო სხეულის არსებობის დროს

- ჰკითხეთ პაციენტს: „იხრჩობი“ თუ პაციენტი თავს გიქნევთ პასუხად და არ შეუძლია საუბარი ეს ნიშნავს, რომ სასუნთქი გზების ობსტრუქცია მძიმეა.
- დაუკავშირდით სასწრაფო სამედიცინო სამსახურს. დადექით ან ჩაიმუხლეთ პაციენტის უკან და შემოხვიეთ პაციენტს ერთი ხელით შეკარით მუშტი (ცერა თითის მხრიდან) მოათავსეთ მუცელზე, ჭიპსა და მახვილისებრ მორჩს შორის ჭიპთან უფრო ახლოს.
- დააფიქსირეთ მუშტი მეორე ხელით და აწარმოეთ ბიძგები მუცელზე, მიმართულებით - შიგნით და ზემოთ.
- გაიმეორეთ ეს მანევრი უცხო სხეულის ამოვარდნამდე ან სანამ პაციენტი დაკარგავს გონებას.

5. პირველადი დახმარება კვამლისა და აირების ინჰალაციის დროს

- გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო და სახანძრო სამსახურები;
- თუ თქვენთვის ეს უსაფრთხოა, გადაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე;
- თუ დაზარალებული უგონოდ არის, დააწვინეთ იგი ზურგზე, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად. თუ სუნთქვა და პულსი არის, გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილას;
- ჩაატარეთ პირველი დახმარება დამწვრობისა და სხვა დაზიანებების დროს;
- დარჩით დაზარალებულთან გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე. ყოველ 10 წთ-ში ერთხელ გადაამოწმეთ სუნთქვა, პულსი და ცნობიერების დონე.

6. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზევით;
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში.

7. პირველი დახმარება შოკის დროს

- ეცადეთ მოხსნათ შოკის გამომწვევი მიზეზი (მაგალითად, დროულად გააჩერეთ გარეგანი სისხლდენა). ეცადეთ მოათავსოთ თავი სხეულზე უფრო ქვემოთ, ამით თქვენ შეამცირებთ უგონო მდგომარეობის განვითარების რისკს;
- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე, საბანზე ან რაიმე საფენზე, გაამხნევეთ დაზარალებული;
- აუწიეთ მას ფეხები რაც შეიძლება ზემოთ. ამ დროს მცირდება სისხლის დინება ქვედა კიდურებისკენ და უმჯობესდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების სისხლით მომარაგება.
- მოათავსეთ რაიმე რბილი საფენი ფეხების ქვეშ.
- ფრთხილად იყავით, თუ ეჭვი გაქვთ კიდურის მოტეხილობაზე;
- შეუხსენით მჭიდრო ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე და წელზე (მაგალითად, საყელო ან ქამარი);
- დაათბუნეთ დაზარალებული, გადააფარეთ მას საბანი ან ტანსაცმელი. დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური;
- ყოველ 10 წთ-ში ერთხელ გადაამოწმეთ სუნთქვა, პულსი და ცნობიერების დონე. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარებისათვის.

8. ელექტროტრავმა

- დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო და სხვა სპეციალიზირებული სამსახურები;
- გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოვება, სანამ არ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლიაცია.
- არ შეეხოთ დაზარალებულს, თუ ის ეხება ელექტროდენის წყაროს. ამით შეიძლება თქვენც მიიღოთ ელექტროტრავმა.
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ, დაზარალებულთან მიახლოვებისთანავე გახსენით სასუნთქი გზები თავის უკან გადაწევის გარეშე, ქვედა ყბის წინ წამოწევით.
- შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები.
- მზად იყავით რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებისათვის.

9. კრუნჩხვა

- თავიდან აიცილეთ თავის დაზიანება;
- დააწვინეთ პაციენტი გვერდზე;
- დაიცავით კიდურები დაზიანებისგან;
- გაუხსენით ტანსაცმელი; არ შეზღუდოთ;
- შეინარჩუნეთ უსაფრთხოება ცნობიერების სრულ დაბრუნებამდე
- დროულად გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

10. დამწვრობა

- გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილას, სუფთა ჰაერზე. გახსოვდეთ ასევე, რომ დამწვრობა შეიძლება გამოწვეული იყოს ელექტრული დენით ან ქიმიური ნივთიერებით.
- თუ დაზარალებულზე იწვის ტანსაცმელი, არ დაიწყოთ მისი სხეულის გადაგორება, გადაასხით სხეულს წყალი. თუ ამის საშუალება არა გაქვთ, გადააფარეთ სხეულს არასინთეტიკური ქსოვილი, ეს შეაჩერებს წვას;
- შეამოწმეთ დაზარალებულის ცნობიერება. ჩაატარეთ CAB-ს კონტროლი და უზრუნველყოფა;
- გახსოვდეთ, რომ დამწვრობის დროს შესაძლებელია ცხელი აირების ჩასუნთქვა, რაც სიცოცხლისათვის საშიშია.
- აუცილებელია დროულად დაიწყოთ დამწვარი არის გაგრილება ცივი წყლით. ჩამობანეთ დაზიანებული არე წყლით: თერმული, ელექტრული, დამწვრობის დროს სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში, ქიმიური დამწვრობის დროს - კი 30 წუთის განმავლობაში.

11. ჰიპერთერმია



- გამოიყენეთ ვენტილატორი ტემპერატურის დასაწევად მიეცით დაზარალებულს ცივი წყალი დასალევად;
- დააწვინეთ ჰორიზონტალურ პოზიციაში
- გადაიყვანეთ დაზარალებული ცივი გარემოდან. დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური;
- თუ დაზარალებულის ტანსაცმელი სველია, ფრთხილად გახადეთ, გაამშრალეთ დაზარალებული და შეახვიეთ თბილ საბანში;
- არ მისცეთ დაზარალებულს სიარულისა და მოძრაობის უფლება. მისი მოძრაობა უნდა იყოს ნელა, რადგან მკვეთრი მოძრაობისას ჰიპოთერმიის დროს შეიძლება განვითარდეს გულის გაჩერება.

12. მოყინვა

- ძალიან ფრთხილად გახადეთ დაზარალებულს ხელთათმანები, მოაცილეთ სამკაულები (თუ ხელია მოყინული) ან ფეხსაცმელი (თუ დაზიანებულია ფეხი). გაათბეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი თქვენი ხელებით.
- თუ მოყინულ არეს სწრაფად არ უბრუნდება ნორმალური
- ფერი, მოათავსეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი თბილ წყალში, შემდეგ გაამშრალეთ და დაადეთ არამჭიდრო ნახვევი.
- თუ მოყინულ ადგილებზე განვითარდა ბუშტუკები, არ დაარღვიოთ მათი მთლიანობა; ასწიეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი ზემოთ, ეს შეამცირებს შეშუპებასა და ტკივილს.

13. მოწამვლა

- აუცილებელია შემთხვევის ადგილის დათვალიერება. იზრუნეთ პირად უსაფრთხოებაზე;
- დროულად გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.
- შეამოწმეთ ცნობიერების დონე და ჩაატარეთ CAB კონტროლი;
- თუ მომწამვლავი ნივთიერება გადაყლაპულია, არ გამოიწვიოთ ღებინება.; თუ მომწამლავი ნივთიერება მოხვდა ორგანიზმში კანის ზედაპირიდან, ჩამობანეთ წყლით დაზიანებული არე;
- თუ დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ სუფთა ჰაერზე, უსაფრთხო ადგილას;

14. პირველი დახმარება რბილი ქსოვილების დაზიანების დროს

- რბილი ქსოვილების დაზინებაზე ეჭვის შემთხვევაში თქვენი მიზანია შეამციროთ ტკივილი და შეშუპება და დროულად გამოიძახოთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური.
- რბილი ქსოვილის დაზიანების დროს იმოქმედეთ RICE ალგორითმის მიხედვით:

R- REST - მოსვენებით მდგომარეობაში გადაყვანა
I – ICE - ყინულის დადება;
C - COMPRESSION- ზომიერად მჭიდრო ნახვევის დადება;
E - ELEVATION - სხეულის დაზიანებული ნაწილის ზემოთ აწევა.

პირველი დახმარების თანმიმდევრობა:

- მოასვენეთ და დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი დაზარალებულისთვის მყუდრო მდებარეობაში;
- თუ ტრავმა ახალი განვითარებულია, დაადეთ დაზიანებულ არეზე ყინულიანი საფენი;
- დაადეთ დაზიანებულ არეზე ზომიერად მჭიდრო ნახვევი. ნახვევის ქვეშ მოათავსეთ ბამბის ფენა ან რბილი საფენი. თუ ნახვევის დადება თვითონ არ შეგიძლიათ მიმართეთ სხვას;
- ასწიეთ ზემოთ და ასეთ მდებარეობაში დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი. ეს შეამცირებს სისხლის ნაკადსა და სისხლჩაქცევას დაზიანებულ არეში;
- დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური. თუ დაზიანება ძალიან მსუბუქია ურჩიეთ დაზარალებულს მოასვენოს კიდური და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ექიმს.

15. ძვლის ამოვარდნილობა ყბის ძვლის ამოვარდნილობას

თან სდევს, დაზიანების არეში დეფორმაცია, შეშუპება, მოძრაობის შეზღუდვა. ამოვარდნილობის დროს თქვენი ძირითადი მიზანია სხეულის დაზიანებული ნაწილის ფიქსაცია და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის დროული გამოძახება.

16. მხრის ძვლის ამოვარდნილობა

პირველი დახმარება ამოვარდნილობის დროს:
არ შეასწოროთ ძვალი, რადგან ამით შეიძლება გამოიწვიოთ

- დაზიანების გაღრმავება;
- უთხარით დაზარალებულს, არ ამოძრაოს სხეულის დაზიანებული ნაწილი და დაუფიქსირეთ იგი; გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური; არ ამოძრაოთ დაზარალებული, სანამ არ მოხდება დაზიანებული ნაწილის სრული ფიქსაცია;
- არ მისცეთ დაზარალებულს საჭმელი და სასმელი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოსვლამდე.
- თუ თქვენ არ შეგიძლიათ ზუსტად დადგენა, რა სახის დაზიანებასთან გაქვთ საქმე, ჩაატარეთ მოტეხილობის ანალოგიური პირველი დახმარება

17. მოტეხილობა

პირველადი გადაუდებელი დახმარება დახურული მოტეხილობის დროს:

- გაუკეთეთ დაზარალებულს იმობილიზაცია მხრისა და ბარძაყის ძვლების მოტეხილობის შემთხვევაში უნდა დააფიქსიროთ არა ნაკლებ სამი სახსრისა;
- დაადეთ არტაშანი, ისე რომ დაზიანებული არე დაფიქსირდეს ორ მეზობელ სახსარს შორის(მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ);
- არტაშანი უკეთესია დაადოთ გარედან, ტანსაცმელზე და მისცეთ მას კიდურის ფორმა (მავთულის არტაშანი); მოტეხილობის არეში ნახვევით ფიქსაცია არ გააკეთოთ; საველე პირობებში შეიძლება გამოიყენოთ ფიცარი, ხის ტოტი ქამარი, თოკი და სხვა იმპროვიზირებული საშუალება;
- უკიდურეს შემთხვევაში დაზიანებული ფეხი დააფიქსირეთ ჯანმრთელ ფეხზე, ხოლო ზედა კიდური - ტანზე ნახვევის საშუალებით;
- თუ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტი აზიანებს კანის მთლიანობას, იგი ხდება ღია.

- ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ მოტეხილობას თან ახლავს სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანება, მოტეხილობა დამსხვრეულია.



ღია მოტეხილობის დროს:

- კიდურის გაშიშვლება, ტანსაცმლის შემოჭრა;
- სისხლდენის შეჩერება:
- დამწოლი ნახვევის დადება.

პირველადი სამედიცინო დახმარება კისრის ან ხერხემლის დაზიანების დროს:

- კისრის ან ხერხემლის დაზიანებისას ან მასზე ეჭვის მიტანისას არ შეიძლება დაზარალებულისთვის თავისა და კისრის მოძრაობა!
- დაზარალებულს დაუფიქსირეთ თავი და კისერზე გაუკეთეთ სპეციალური საყელო;
- თუ კისრის საყელო არ გაქვთ, გამოიყენეთ რამე იმპროვიზირებული საშუალებები. მაგ. მარლაში გადახვეული სქელი ბამბის საყელოს.
- კისრისა და ხერხემლის ტრავმის შემთხვევაში ან მასზე ეჭვის მიტანისას, დაზარალებულის ტრანსპორტირება მოახდინეთ სპეციალურ ფარზე, ხის ან ფანერის ზედაპირზე. ამ მიზნით შეიძლება შენობის კარის გამოყენებაც.
- შეინარჩუნეთ ხერხემალი სწორ და უძრავ მდგომარეობაში.
- არ შეიძლება ჭრილობაზე შეხება; ძვლის ნამსხვრევების ჩასწორება; უცხო სხეულების მოცილება. (დააფიქსირეთ ისე როგორც დაგხვდათ)



პირველადი გადაუდებელი დახმარება მენჯის ძვლების მოტეხილობის დროს:

- მენჯის ძვლების მოტეხილობისას ან მასზე ეჭვის მიტანისას დაზარალებულს ზურგის ქვეშ დაუდეთ ხის ფარი ან რამე იმპროვიზირებული საშუალება;
- დააწვინეთ „ბაყაყის“ პოზიციაში: ფეხები მოუხარეთ მუხლის სახსარში და გადაუწიეთ განზე; ტერფები დაუფიქსირეთ ერთად; მუხლების ქვეშ დაუდეთ ბალიში ან ტანსაცმელი; სასწრაფოდ გადაიყვანეთ საავადმყოფოში.



წვივის ძვლების მოტეხილობის დროს დაშავებულს არტაშანი უნდა დაედოს ორივე მხრიდან ტერფიდან შუა ბარძაყამდე.

18. პირველადი გადაუდებელი დახმარება გარეგანი სისხლდენის დროს:

- პირადი უსაფრთხოების დაცვა - თუ თქვენ სხეულზე გაქვთ ჭრილობები (ნაკაწრი, მცირე ზომის ღია ჭრილობა) სასურველია ისინი დაიფაროს წყალგაუმტარი საფენით მანამ,
- სანამ თქვენ დაიწყებდეთ დახმარების გაწევას. თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ რეზინის ერთჯერადი ხელთათმანი. სასურველია დახმარების გაწევის წინ და შემდეგ დაიბანოთ ხელები საპნით.
- CAB შეფასება. ძლიერი გარეგანი სისხლდენისას საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს სისხლდენის შეჩერება.

19. სისხლდენის შეჩერების მეთოდები

არსებობს გარეგანი სისხლდენის შეჩერების რამდენიმე მეთოდი:

- **პირდაპირი ზეწოლა.**

მოაშორეთ დაზიანებულ არეს ტანსაცმელი. დაათვალიერეთ ჭრილობა. დარწმუნდით, რომ ჭრილობაში არ არის მახვილი საგნები (მაგალითად მინის ნამსხვრევები), რომლებითაც შეიძლება თქვენ დაზიანდეთ. მოახდინეთ ზეწოლა ჭრილობაზე თითებით ან მტევნით. სასურველია ჭრილობა წინასწარ დაფაროთ სუფთა საფენით. მაგრამ ნუ დაკარგავთ დიდ დროს ამ საფენის მოსაძებნად. თუ ჭრილობაში არის უცხო სხეული, არ ამოიღოთ (უცხო სხეულის ამოღებისას შეიძლება გაძლიერდეს სისხლდენა ან გაღრმავდეს დაზიანება). სხეულის დაზიანებული ნაწილის (ხელის ან ფეხის) ზემოთ აწევა.

თუ შესაძლებელია, ასწიეთ დაზარალებულის დაზიანებული კიდური გულის დონეზე ზემოთ. ამით შემცირდება სისხლის ნაკადი დაზიანებულ არეში, რაც შეუწყობს ხელს კოლტის განვითარებას და სისხლდენის შეჩერებას. კიდურების მაღლა აწევა არ არის რეკომენდებული თუ კიდური შეშუპებულია, დეფორმირებულია ან მტკივნეულია, რაც მიუთითებს მოტეხილობის ან ამოვარდნილობის შესაძლებლობაზე;

- **დამწოლი ნახვევი**

დამწოლი ნახვევი გამოიყენება ვენური სისხლდენის დროს, ჭრილობაზე დადებული სუფთა საფენის ზემოთ დაადეთ დამწოლი ნახვევი: ჭრილობაზე მსხვილი ტამპონი და მჭიდრო ნახვევი ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ. თუ სისხლი ჟონავს დამწოლი ნახვევიდან, ზემოდან დაადეთ მეორე მსხვილი საფენი და გადაუჭირეთ მჭიდროდ.

20. ლახტის დადება

ლახტის გამოიყენება ხდება მხოლოდ არტერიული სისხლდენის დროს ან კიდურის ამპუტაციის შემთხვევაში, იდება მხოლოდ ბარძაყის ან მხრის ძვალზე, უნდა დავადოთ ჭრილობიდან 5-7 სანტიმეტრით ზემოთ მისი არასწორად ანუ არასრულად მოჭერა იწვევს მხოლოდ ვენების დახშობას და აძლიერებს არტერიულ სისხლდენას, **ფოტოზე ნაჩვენებია** ტურნიკეტის დადება (ლახტის იმპროვიზაცია) შეგვიძლია გამოვიყენოთ თოკი 3-4 სმ სიგანის მოვუჭიროთ მჭიდროდ, შემდეგ კვანძზე დავაფიქსიროთ ჯოხი ან ფანქარი კვანძით და დავატრიალოთ ჯოხი ერთი მიმართულებით მანამ, სანამ არ შეჩერდება სისხლდენა. ლახტის დადებისას აუცილებელია დავაფიქსიროთ ლახტის დადების დრო და მივაწოდოთ ინფორმაცია სასწრაფო დახმარებას.

21. ნახვევი.

თუ ჭრილობაში არის უცხო სხეული, მოათავსეთ რამდენიმე საფენი უცხო სხეულის გარშემო მანამ, სანამ დამწოლი ნახვევის დადებისას ზეწოლა უცხო სხეულზე არ მოხდება. დამწოლი ნახვევის დადების შემდეგ აუცილებელია შეამოწმოთ პულსი და მგრძნობელობა (შეეხეთ დაზარალებულის კანს ნახვევის ქვემოთ და კითხეთ, გრძნობს თუ არა ამას დაზარალებული). პულსისა და მგრძნობელობის შემოწმება აუცილებელია, ყოველ 10 წუთში ერთხელ სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე, შესაძლებელია სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ დაირღვეს; თუ ნახვევის ქვემოთ პულსი და მგრძნობელობა არ არის და განვითარდა შეშუპება, კანი გახდა მკრთალი და ცივი, დამწოლი ნახვევის ქვემოთ სხეულის ნაწილი დაუბუჟდა, გაქრა პერიფერიული პულსი, შეხსენით ნახვევი და დაადეთ ის ნაკლებ მჭიდროდ;

22. დაზარალებულის მდებარეობა

სისხლდენის გასაჩერებლად დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები (ჩაუდეთ ფეხებს ქვეშ ბალიში). ამ მდებარეობაში მცირდება სისხლის დინება ფეხებისკენ და სისხლი მეტი რაოდენობით მიედინება ადამიანის სხეულის მნიშვლნელოვანი ნაწილებისაკენ (მაგალითად, ტვინში, გულში).

23. შინაგანი სისხლდენა

შინაგანი სისხლდენა ძალიან სერიოზული და ძნელად აღმოსაჩენი დაზიანებაა. ის შეიძლება განვითარდეს ამა თუ იმ ორგანოს ტრავმის, სისხლძარღვების დაზიანების, ზოგიერთი ტიპის (ძირითადად ბარძაყის და მენჯის ძვლების) მოტეხილობის შედეგად. შემავალი ჭრილობა ასევე იწვევს შინაგან სისხლდენას. ზოგჯერ ის ვითარდება გარეგანი დაზიანების გარეშე, სპონტანურად (მაგალითად, შინაგანი სისხლდენა კუჭის წყლულიდან).

შინაგანი სისხლდენა ძალიან საშიშია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სისხლი ამ დროს არ იკარგება ადამიანის სხეულიდან, ის იკარგება სისხლის მიმოქცევის წრიდან. ამის გამო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებს (ტვინს, გულს, თირკმელს) შეიძლება დააკლდეს ჟანგბადი. გარდა ამისა სისხლი, რომელიც შინაგანი სისხლდენის დროს გროვდება ადამიანის ორგანიზმის ღრუებში, იწვევს შინაგანი ორგანოების დაზიანებას მათზე ზეწოლის გამო. როდესაც ტრავმის მიღების შემდეგ აღინიშნება შოკის ნიშნები, მაგრამ არ არის სისხლის თვალსაჩინო დანაკარგი, ეჭვი უნდა მიიტანოთ შინაგან სისხლდენაზე.

შინაგანი სისხლდენის ნიშნები:

- მკრთალი ფერის კანი ცივი, ნამიანი კანი, ჩქარი, სუსტი პულსი, ტკივილი, წყურვილის შეგრძნება;
- აგზნება, ჭირვეულობა, რომელიც შემდგომში იცვლება ცნობიერების დაბინდვითა და უგონო მდგომარეობით დაზიანების ადგილზე შეიძლება არსებობდეს სისხლჩაქცევა და შეშუპება;
- დაჭიმული, შებერილი და მტკივნეული მუცელი.

24. სისხლდენა კუჭ-ნაწლავის სისტემიდან:

- ალისფერი სისხლიანი გამონადენი სწორი ნაწლავიდან ან მუქი კუპრის ფერი განავალი; სისხლიანი ან ყავის ნალექის ფერის პირნაღები მასები; სისხლიანი გამონადენი სასქესო ორგანოებიდან; ხველა სისხლიანი ნახველით სისხლი და გამჭირვალე გამონადენი ცხვირიდან და ყურებიდან;
- შინაგანი სისხლდენის დროს თქვენი ძირითადი მიზანია უზრუნველყოთ დაზარალებულის დაუყოვნებლივი გადაყვანა საავადმყოფოში და შეამციროთ შოკის განვითარების რისკი.

25. პირველადი გადაუდებელი დახმარება შინაგანი სისხლდენის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზემოთ. შეხსენით მჭიდრო ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე, წელზე;
- დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური;
- არ მისცეთ დაზარალებულს საჭმელი, წამალი და სასმელი. თუ დაზარალებული გონზეა და აღენიშნება ძლიერი წყურვილის შეგრძნება, დაუსველეთ მას ტუჩები;
- დაათბუნეთ დაზარალებული - გადააფარეთ საბანი ან ქსოვილი;
- ყოველ 10 წუთში ერთხელ გადაამოწმეთ პულსი, სუნთქვა და ცნობიერების დონე. თუ დაზარალებული კარგავს გონებას, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში;
- დააკვირდით, ხომ არ აღენიშნება დაზარალებულს სისხლიანი გამონადენი. თუ ეს შესაძლებელია გაატანეთ ამ გამონადენის ნაცხი სამედიცინო სამსახურს.

დანართი 8

სკოლა-გიმნაზიის სანიტარული კვანძის დასუფთავების წესები

1. სკოლა-გიმნაზიის საპირფარეშოს სისუფთავეზე პასუხისმგებელია კონკრეტულ ზონაზე მიმაგრებული დამლაგებელი;
2. მის საქმიანობაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლა-გინაზიის ექიმი ან დირექციის მიერ გამოყოფილი სხვა პირი;
3. სისუფთავეზე პასუხისმგებელმა პირმა სამუშაოს დაწყებამდე და შემდგომშიც უნდა გაიაროს სწავლება დალაგების წესების შესახებ;
4. პროცესის შესრულების დოკუმენტირება უნდა მოხდეს დალაგების აღრიცხვის ფურცელზე, რომელიც მოთავსებულია საპირფარეშოს კედელზე;
5. პროცესის შერულების და დოკუმენტირების შემოწმებას დღეში ორჯერ ხელმოწერით ადასტურებს ამ პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი, აქვე უთითებს შემოწმების რიცხვს;
6. დასასუფთავებელი ინვენტარით უზრუნველყოფაზე და გაცემაზე პასუხისმგებელია გამოყოფილი პირი ან დირექცია.
7. სისუფთავის სტანდარტი:
   ა. სუფთა ხელსაბანი;
   ბ. სუფთა სარკე;
   გ. სუფთა უნიტაზი;
   დ. სუფთა ზედაპირები;
   ე. ქაღალდის ხელსაწმენდების დისპენსერი და საპნის დოზატორი შევსებულია;
   ვ. ურნები არ არის გადავსებული, ჩაფენილია პოლიეთილენის პარკი.
8. დასალაგებელი ინვენტარი:
   ა. ფერით კოდირებული ტილოები და სათლები;
   ბ. ფერით კოდირებული ხელთათმანები, ერთჯერადი ხელთათმანები;
   გ. საწმენდი/სადეზინფექციო საშუალებები, ფერით კოდირებული რეზერვუარები ხსნარისთვის;
   დ. ქაღალდები და თხევადი საპონი მარაგის შესავსებად;
   ე. ერთჯერადი პარკები ნაგვის ურნებში ჩასაფენად;
   ვ. ჯაგრისი უნიტაზისთვის;
   ზ. გამაფრთხილებელი ნიშნები;
   თ. ინდივიდუალური დაცვის საშულებები - მრავალჯერადი ფერით კოდირებული და ერთჯერადი ხელთათმანები, ტენგამძლე წინსაფარი, სახის ფარი; ჰაერის აეროზოლები.
9. დამსუფთავებელმა უნდა დაიცვას უსაფრთხოების ძირითადი წესები:
   ა. სწორად გამოიყენოს ფერით კოდირებული დასალაგებელი ინვენტარი და პერსონალური დამცავი საშუალებები;
   ბ. აღჭურვილობა გამოიყენოს ინსტრუქციის შესაბამისად;
   გ. დასუფთავებისას გამოიყენოს ბარიერები და ნიშნულები;
   დ. დაიცვას ხელის ჰიგიენის წესები.
10. დასუფთავების ზოგადი ღონისძიებები:
   ა. დასასუფთავებელ უბანზე განათავსეთ გამაფრთხილებელი ნიშნები;
   ბ. დაიბანეთ ხელები და ჩაიცვით ხელთათმანები;
   გ. გაანიავეთ საპირფარეშო თუ ეს შესაძლებელია (მაგ: გააღეთ ფანჯარა);
   დ. დაამზადეთ საწმენდი ხსნარი.
11. უნიტაზების დასუფთავება პროცედურა:
   ა. ჩარეცხეთ უნიტაზი;
   ბ. ჩაასხით სარეცხი/სადეზინფექციო საშუალება უნიტაზში;
   გ. უნიტაზის ფსკერი გაწმინდეთ ჯაგრისით, ჯაგრისით კედლებიდან მოაცილეთ ჭუჭყი;
   დ. პეციალური ტილოთი გაწმინდეთ და გაამშრალეთ ტუალეტის ქაღალდის დამჭერი, მილები, საკიდები. ხშირად გარეცხეთ ჩვარი სარეცხ ხსნარში. შეცვალეთ სარეცხი ხსნარი როცა ის გაჭუჭყიანდება;
   ე. დაასველეთ უნიტაზის ზედაპირების საწმენდი სპეციალური ტილო სარეცხ ხსნარში და კარგად გაწურეთ. დასუფთავება დაიწყეთ უნიტაზის ყველაზე მაღალი ადგილიდან და ქვემოთ, გარედან შიგნით, შედარებით სუფთადან ჭუჭყიანისკენ. ბოლოს უნიტაზის თავსახური, უნიტაზი გარედან;
   ვ. ჩარეცხეთ უნიტაზი ჩოთქით გაწმენდილი ნალექის ჩასარეცხად. კიდევ ერთხელ გაწმინდეთ ჯაგრისით;
   ზ. წყლის ჩასარეცხი გაწმინდეთ ჩვრით, შემდეგ დაახურეთ თავსახური;

თ. გაიხადეთ ხელთათმანი, დაიბანეთ ხელი, ჩაიცვით ახალი ხელთათმანი;
ი. შეამოწმეთ და შეავსეთ ტუალეტის ქაღალდი;
კ. სამუშაოს დასრულების შემდეგ ერთჯერადი ჩვრები გადაყარეთ, ხოლო მრავლაჯერადი გარეცხეთ და მოახდინეთ დეზინფექცია ფერით კოდირების მიხედვით ცალ-ცალკე კონტეინერში;
ლ. გამოყენების შემდეგ დასასუფთავებელი ინვენტარი უნდა შემოწმდეს დაზიანების არსებობაზე, გასუფთავდეს, გაშრეს და დაბრუნდეს შესანახ ზონაში;
მ. გაიხადეთ ხელთათმანები და დაიბანეთ ხელები.

12. ხელსაბანის დასუფთავების პროცედურა:
ა. გაანთავისუფლეთ ხელსაბანი ყველა ნივთისაგან;
ბ. დაასველეთ ჩვარი სარეცხ ხსნარში;
გ. გაწმინდეთ ზედაპირები ხელსაბანის გარშემო, მათ შორის ფილები, ქაღალდის ხელსახოცის დისპენსერი, საპნის დოზატორი, ონკანი;
დ. გაწმინდეთ ხელსაბანი გარედან შიგნით;
ე. გაწმინდეთ ხელსაბანის შიგნითა მხარე;
ვ. გამდინარე წყლით გაავლეთ მთლიანი ხელსაბანი.

13. მინის ზედაპირების გაწმენდის პროცედურა:
მინის ზედაპირების წმენდისას გამოიყენეთ სპეციალური საშუალებები, უშუალოდ მოათავსეთ მინაზე და გაწმინდეთ ქსოვილით ან ქაღალდის პირსახოცით. მოაცილეთ თითის ანაბეჭდები, მტვერი და ლაქები.

14. ქაღალდის ხელსახოცების დამატება და საპნის შევსება პროცედურა:
ა. დაიბანეთ ხელები და ჩაიცვით ხელთათმანები;
ბ. დარწმუნდით, რომ გაქვთ საჭირო ზომის და ტიპის ქაღალდი შესავსებად;
გ. ჩატვირთვის შემდეგ დაახურეთ და დაამაგრეთ თავსახური;
დ. თუ საპონი დასამატებელია, გახსენით დოზატორი და გაანთავისუფლეთ დანარჩენი შიგთავსისგან;
ე. თუ შესაძლებელია, მოხსენით დოზატორი და გარეცხეთ გამდინარე წყლის ქვეშ, გაასუფთავეთ ლაქებისაგან;
ვ. დოზატორი შეავსეთ საპონით და დახურეთ;
ზ. ხელთათმანები გადაყარეთ და ხელები დაიბანეთ.

15. სხვა ზედაპირების დასუფთავებაპროცედურა:
ა. კედლები გაწმინდეთ სარეცხ ხსნარში დასველებული ჩვრით;
ბ. თუ კედლის ზედა ზონებიცაა დაბინძურებული, მაშინ გაწმინდეთ მთელი კედელი;
გ. გაწმინდეთ კარების სახელურები და ყველა ჩასართველი.

16. სანაგვე ყუთების დასუფთავება პროცედურა:
ა. ფრთხილად მოაგროვეთ ყუთის გარშემო დაყრილი ნაგავი;
ბ. თუ ურნაში შენიშნეთ სახიფათო ნარჩენი, აცნობეთ ხელმძღვანელს;
გ. სანაგვე პარკს მოუკარით თავი და ამოიღეთ ურნიდან ისე, რომ არ შეგეხოთ სხეულზე;
დ. ჩვარი დაასველეთ სადეზინფექციო ხსნარში და გაასუფთავეთ ურნის ზედაპირები;
ე. ჩააფინეთ ახალი პოლიეთილენის პარკი.

17. იატაკის დასუფთავება სველი ჩვრით პროცედურა:
ა. სათლში მოამზადეთ სარეცხი ხსნარი;
ბ. დააასველეთ იატაკის საწმენდი ტილო, გაწურეთ და დაასუფთავეთ იატაკი სანიტარული კვანძის მთელ პერიმეტრზე, კუთხეების და ძნელად მისაწვდომი ადგილების ჩათვლით;
გ. დასუფთავება გააგრძელეთ მანამ, სანამ იატაკის ზედაპირი არ გახდება სუფთა.

18. უსაფრთხოების ზომები:
ა. დასუფთავებისას გამოიყენეთ გამაფრთხილებელი ნიშნები;
ბ. ყოველთვის გამოიყენეთ აღჭურვილობა ფერით კოდირების მიხედვით;
გ. არასდროს არ შეურიოთ სხვადასხვა საწმენდი საშუალება, რადგან წარმოქმნილი ნარევი შეიძლება აალდეს;
დ. ქაღალდის ხელსახოცები, რომლითაც უნდა შეავსოთ მარაგი, არასდროს არ დადოთ იატაკზე ან თაროზე;
ე. დასალაგებელი აღჭურვილობა სუფთა, მშრალ მდგომარეობაში უნდა შეინახოთ შესაბამის სათავსოში;
ვ. დასუფთავების დროს სუფთა ჩვარი რეგულარულად დაასველეთ სარეცხი საშუალებებით;
ზ. გადაყარეთ ერთჯერადი ჩვრები, რომელსაც იყენებდით დასუფთავების დროს;
თ. მიაწოდეთ ხელმძღვანელს ინფორმაცია აღჭურვილობის დაზიანების ან მარაგის ამოწურვის შესახებ;
ი. დაზიანებული კანი დაიფარეთ პლასტირით.